

## გთხოვთ პლატფორმით სარგებლობამდე ყურადღებით გაეცნოთ გამოყენების წესებს

### 1. შესავალი

- 1.1. წინამდებარე აპლიკაცია - “RoomMate Georgia” ეკუთვნის და მისი მფლობელია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოში რეგისტრირებული ინდ. მენარმე მარიამ ხანთაძე (პ/ნ: 01008058752). წინამდებარე წესები და პირობები წარმოადგენს იურიდიულად სავალდებულო ხელშეკრულებას, რომელიც იდება ინდ. მენარმე მარიამ ხანთაძესა (პ/ნ: 01008058752) და თქვენს შორის.
- 1.2. წინამდებარე წესები და პირობები არეგულირებს თქვენს მიერ **აპლიკაციის** გამოყენებასა და მისი მეშვეობით კომპანიისაგან მომსახურების მიღებას, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად გაქვთ გავლილი რეგისტრაცია.
- 1.3. აპლიკაციაში რეგისტრაციით/შესვლით/ნებისმიერი სახით გამოყენებით ან/და კომპანიისგან მომსახურების მიღებით თქვენ წერილობით ეთანხმებით წინამდებარე წესებსა და პირობებს. წესებსა და პირობებზე თანხმობა ავტომატურად გულისხმობს [პერსონალური მონაცემების დამუშავების პოლიტიკასა](#) თუ წესებისა და პირობების სხვა დანართებსა და შემადგენელ ნაწილებზე წერილობით თანხმობას.
- 1.4. წესები და პირობები, ასევე მისი ნებისმიერი დანართი/შემადგენელი ნაწილი მოქმედებს მანამ, სანამ იარსებებს მომხმარებლის პროფილი, მომხმარებელი სხვაგვარად სარგებლობს აპლიკაციით, იღებს მომსახურებას კომპანიისგან ან/და აქვს სხვაგვარი შემხებლობა კომპანიასთან.
- 1.5. კომპანია უფლებამოსილია ნებისმიერ დროს ცალმხრივად, აპლიკაციაში განთავსების გზით შეიტანოს ცვლილებები წესსა და პირობებში. აღნიშნული ცვლილებები ძალაში შევა ცვლილების შეტანისთანავე. მომხმარებლის მიერ აპლიკაციის გამოყენების გაგრძელება ან/და მომსახურების მიღება ავტომატურად ნიშნავს თანხმობას შეცვლილ პირობებზე. განსაკუთრებული მნიშვნელობის ცვლილების შემთხვევაში, კომპანია რეგისტრირებულ მომხმარებლებს აპლიკაციის ან/და ელექტრონული ფოსტის/სატელეფონო შეტყობინების მეშვეობით დამატებით აცნობებს აღნიშნულის შესახებ.

### 2. ტერმინთა განმარტება

- 2.1. თუ თავად ტექსტიდან სხვაგვარად არ გამომდინარეობს, წინამდებარე წესებსა და პირობებში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ მათთვის მინიჭებული შემდეგი მნიშვნელობა:
  - 2.1.1. **კომპანია** - ინდ. მენარმე მარიამ ხანთაძე (პ/ნ: 01008058752), რომელიც წარმოადგენს აპლიკაცია “RoomMate Georgia”-ს მესაკუთრესა და მმართველს.
  - 2.1.2. **აპლიკაცია** - კომპანიის საკუთრებაში არსებული აპლიკაცია „RoomMate Georgia“ (მათ შორის და არამხოლოდ, ვებ-გვერდი “<https://roommategeorgia.ge/>”) (მიუხედავად გამოყენების პლატფორმისა), რომლის მეშვეობითაც მომხმარებელი იღებს მომსახურებას კომპანიისგან.
  - 2.1.3. **მომხმარებელი** - ნებისმიერი რეგისტრირებული თუ არარეგისტრირებული მომხმარებელი.

- 2.1.4. **რეგისტრირებული მომხმარებელი** - ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც სარგებლობს აპლიკაციით და გავლილი აქვს რეგისტრაცია.
- 2.1.5. **არარეგისტრირებული მომხმარებელი** - ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც სარგებლობს აპლიკაციით და არ აქვს გავლილი რეგისტრაცია.
- 2.1.6. **პროფილი** - რეგისტრირებული მომხმარებლის პირადი გვერდი აპლიკაციაში, რომელიც მოიცავს აღნიშნულ მომხმარებელზე სავალდებულო თუ დამატებითი ხასიათის ინფორმაციას.
- 2.1.7. **მომსახურება** - ნებისმიერი სახის მომსახურება/შელაგვათი, რასაც რეგისტრირებული მომხმარებელი იღებს კომპანიისგან, მათ შორის და არამხოლოდ, ბინის ქირაუნობის, ხარჯების გაყოფისა თუ სხვა მიზნებისთვის კომპანიის მიერ რეგისტრირებული მომხმარებლების ერთმანეთთან დაკავშირება.
- 2.1.8. **მომსახურების საფასური** - რეგისტრირებული მომხმარებლის მიერ მომსახურების მისაღებად, კომპანიისთვის გადასახდელი თანხა, რომლის ოდენობა და გადახდის წესი მოცემულია აპლიკაციაში.
- 2.1.9. **მხარე** - კონტექსტის გათვალისწინებით კომპანია, არარეგისტრირებული მომხმარებელი ან/და რეგისტრირებული მომხმარებელი.
- 2.1.10. **მხარეები** - კონტექსტის გათვალისწინებით კომპანია და არარეგისტრირებული მომხმარებელი ან/და რეგისტრირებული მომხმარებელი.
- 2.1.11. **მესამე პირი** - ნებისმიერი სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირი, გარდა მხარეებისა.
- 2.1.12. **წესები და პირობები** - წინამდებარე წესები და პირობები, ასევე მისი ნებისმიერი დანართი და შემაღვენილი ნაწილი, რომლებიც არეგულირებს აპლიკაციის გამოყენების პირობებს.

### 3. განცხადებები და გარანტიები

- 3.1. მომხმარებელი აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ:
  - 3.1.1. გაეცნო და სრულად ეთანხმება წესებსა და პირობებს.
  - 3.1.2. სრულად აქვს გააზრებული კომპანიის მომსახურებისა თუ პასუხისმგებლობის ფარგლები, კერძოდ, კომპანია ეხმარება რეგისტრირებულ მომხმარებლებს მხოლოდ და მხოლოდ ერთმანეთთან დაკავშირებაში, რის შემდგომაც მთავრდება კომპანიის პასუხისმგებლობის ფარგლები. რამდენად განაგრძობენ ურთიერთობას დაკავშირებული მომხმარებლები წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ მათ კომპეტენციას, ნებასა და პასუხისმგებლობას, რის გამოც არ შეიძლება კომპანიას დაეკისროს პასუხისმგებლობა.
  - 3.1.3. აპლიკაციის გამოყენების დროს იქნება/არის ქმედუნარიანი, შეუძლია გაიაზროს აპლიკაციის გამოყენების მნიშვნელობა და არ იმყოფება რაიმე ისეთი ფსიქიკური ზემოქმედების ქვეშ, რაც ხელს შეუშლის, გაიაზროს მისი ქმედების მნიშვნელობა, ამასთან მიღწეული აქვს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ასაკობრივი ზღვარისთვის და აქვს სრული უფლებამოსილება ისარგებლოს აპლიკაციით. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, აპლიკაციის გამოყენების დროს, რეგისტრირებული მომხმარებელი აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ მიღწეული აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სრულწლოვანი ასაკისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში, კომპანია უფლებამოსილია დაბლოკოს რეგისტრირებული მომხმარებლის პროფილი.
  - 3.1.4. მის მიერ აპლიკაციაში შეყვანილი ინფორმაცია რეალური, ზუსტი და კანონიერია.
  - 3.1.5. არ გამოიყენებს აპლიკაციას კანონსაწინააღმდეგო მიზნებისთვის და დაიცავს საქართველოს კანონმდებლობას აპლიკაციის გამოყენების პროცესში, მათ შორის და არამხოლოდ კანონმდებლობით დაწესებულ ასაკობრივ შეზღუდვებს.
  - 3.1.6. მისი არცერთი ქმედება არ ხელყოფს კომპანიის, სხვა მომხმარებლების ან/და მესამე პირების უფლებებს.

- 3.1.7. აცნობიერებს, რომ ლოგოზე, აპლიკაციაზე, აპლიკაციის დიზაინზე, ძირითად პროგრამული კოდზე, პროგრამული უზრუნველყოფასა და სხვა დაკავშირებულ მასალაზე ინტელექტუალური საკუთრების უფლება ეკუთვნის კომპანიას.
- 3.1.8. აცნობიერებს, რომ აპლიკაციის გამოყენების დროს შესაძლოა წარმოიქმნას ხარვეზები/შეფერხებები, რომლებზეც კომპანია არ აგებს პასუხს.

#### 4. აპლიკაციის გამოყენება და რეგისტრაცია

- 4.1. მხარეები თანხმდებიან, რომ აპლიკაციაზე შესვლის უფლება აქვთ, როგორც რეგისტრირებულ, ისე არარეგისტრირებულ მომხმარებლებს.
- 4.2. იმისათვის, რომ მომხმარებელმა შეძლოს აპლიკაციის სრული გამოყენება და მიიღოს მომსახურება კომპანიისგან, იგი ვალდებულია გაიაროს რეგისტრაცია აპლიკაციაში და ჰქონდეს საკუთარი პროფილი.
- 4.3. თუმომხმარებელი გადაწყვეტს კომპანიისგან მომსახურების მიღებას, იგი ვალდებულია შეავსოს აპლიკაციაში განთავსებული კითხვარი. აღნიშნული კითხვარის აპლიკაციაში მითითებული წესების დაცვით შევსების შემდეგ, სრულდება მომხმარებლის რეგისტრაცია და მას აპლიკაციაში უჩნდება არააქტიური პროფილი.
- 4.4. პროფილის გასააქტიურებლად და კომპანიისგან მომსახურების მისაღებად, მომხმარებელი ვალდებულია გადაიხადოს მომსახურების საფასური.
- 4.5. მომხმარებელი ვალდებულია რეგისტრაციის დროს შესაბამის გრაფებში მიუთითოს ზუსტი და რეალური ინფორმაცია. სხვა პირის/არასწორი ინფორმაციის მითითება დაუშვებელია. ასეთ შემთხვევაში, კომპანია უფლებამოსილია დროებით ან/და სამუდამოდ დაბლოკოს მომხმარებლის პროფილი, რის შემდეგაც იგი ვეღარ შეძლებს კომპანიისგან მომსახურების მიღებას.
- 4.6. მას შემდეგ, რაც მომხმარებელი გაივლის რეგისტრაციას და გააქტიურებს პროფილს, იგი უფლებამოსილია მიიღოს მომსახურება კომპანიისგან.
- 4.7. რეგისტრირებული მომხმარებლები აცნობიერებენ, რომ კომპანიის მიერ მომსახურება მოიცავს მათთვის საინტერესო სხვა რეგისტრირებულ მომხმარებლებთან მხოლოდ და მხოლოდ დაკავშირებას. კომპანია არ არის პასუხისმგებელი და არ აქვს არანაირი გავლენა/კონტროლი რეგისტრირებული მომხმარებლების დაკავშირების შემდგომ განხორციელებულ ქმედებებზე.

#### 5. მომსახურების საფასურის გადახდა და დაბრუნების პოლიტიკა

- 5.1. პროფილის გააქტიურებისა და მომსახურების საფასური მოცემულია აპლიკაციაში, რომლის გადახდაც ხდება უნაღლო ანგარიშსწორების გზით.
- 5.2. კომპანია უფლებამოსილია რეგისტრირებული მომხმარებლების გარკვეულ სეგმენტს შესთავაზოს მომსახურების ფასდაკლებული ფასი, მათ შორის და არამხოლოდ უნიკალური პრომო კოდის გამოყენებით. ასეთ შემთხვევაში, ფასდაკლების გამოყენება შესაძლებელია შესაბამის გრაფაში უნიკალური პრომო კოდის მითითების გზით. იმ შემთხვევაში, თუ რეგისტრირებული მომხმარებლის მიერ მითითებული პრომო კოდი არ არსებობს/არასწორია, იგი ვერ შეძლებს მომსახურების საფასურის პრომო კოდით გადახდას და ვერ ისარგებლებს ფასდაკლებით.
- 5.3. მას შემდეგ, რაც რეგისტრირებულ მომხმარებელი გადაწყვეტს პროფილის გააქტიურებას და დააჭერს აპლიკაციაში შესაბამის ღილაკს, იგი ვალდებულია შეიყვანოს ბარათის მონაცემები, საიდანაც კომპანია ავტომატურად ჩამოჭრის მომსახურების საფასურს.

- 5.4. რეგისტრირებული მომხმარებლისათვის გადახდილი თანხის უკან დაბრუნება ხდება მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის მიერ, მითითებული ბარათიდან მომსახურების საფასურის ჩამოჭრის შემდგომ, 24 საათის განმავლობაში, რეგისტრირებული მომხმარებელი ვერ შეძლებს პროფილის გააქტიურებასა და მომსახურების მიღებას.
- 5.4.1. წესებისა და პირობების 5.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, რეგისტრირებული მომხმარებელი უფლებამოსილია მიმართოს კომპანიას თანხის დაბრუნების მოთხოვნით.
- 5.4.2. კომპანია უფლებამოსილია მოთხოვნის მიღებიდან 5 სამუშაო დღეში დაუბრუნოს პასუხი რეგისტრირებულ მომხმარებელს.
- 5.4.3. თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებით დადებითი პასუხის შემთხვევაში, რეგისტრირებულ მომხმარებელს თანხა დაუბრუნდება პასუხის მიღებიდან 5 სამუშაო დღეში.
- 5.5. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია დაუბლოკავს რეგისტრირებულ მომხმარებელს პროფილს, მიუხედავად საფუძვლისა, კომპანია უფლებამოსილია სრულად დაიტოვოს აღნიშნული მომხმარებლის მიერ გადახდილი მომსახურების საფასური.
- 5.6. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, რეგისტრირებულმა მომხმარებელმა შესაძლოა გადახდილი მომსახურების საფასური დაიბრუნოს მხოლოდ და მხოლოდ წესებისა და პირობების 5.4. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებსა და წესით. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, კომპანია უფლებამოსილია სრულად დაიტოვოს რეგისტრირებული მომხმარებლის მიერ გადახდილი მომსახურების საფასური.

## 6. პასუხისმგებლობის ფარგლები

- 6.1. მომხმარებლები აცნობიერებენ, რომ კომპანია არის შუამავალი და ის ეხმარება აპლიკაციაში რეგისტრირებულ მომხმარებლებს ერთმანეთთან დაკავშირებაში.
- 6.2. რეგისტრირებულ მომხმარებელთა დაკავშირების შემდგომ, მთავრდება კომპანიის პასუხისმგებლობის ფარგლები და დაკავშირების შემდგომ განხორციელებულ ქმედებებზე/უმოქმედობებზე კომპანიას არ გააჩნია არანაირი კონტროლი და ინფორმაციის მიღების ვალდებულება.
- 6.3. კომპანია სრულად თავისუფლდება რეგისტრირებულ მომხმარებლებს ან/და რეგისტრირებულ მომხმარებლებსა და მესამე პირებს შორის წარმოშობილი ურთიერთობიდან გამომდინარე დავების, უთანხმოებების, უზუსტობებისა თუ ნებისმიერი სახის პასუხისმგებლობისგან.
- 6.4. მომხმარებლები აპლიკაციის გამოყენებით აცხადებენ და გამოთქვამენ თანხმობას, რომ ისინი სრულად იაზრებენ კომპანიის პასუხისმგებლობის ფარგლებს და უარს ამბობენ მის მიმართ ნებისმიერი დამატებითი სახის მოთხოვნაზე.
- 6.5. კომპანია არ იღებს და არ შეიძლება ჰქონდეს პასუხისმგებლობა მომხმარებლის ან/და მესამე პირების ქმედებებსა თუ ვალდებულებებზე. ასევე, არ იღებს პასუხისმგებლობას მომხმარებელთა ან/და მესამე პირთა ქმედებების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

## 7. ინტელექტუალური საკუთრება

- 7.1. აპლიკაციის დიზაინზე, ძირითად პროგრამული კოდზე, პროგრამულ უზრუნველყოფაზე, ლოგოსზე, სასაქონლო ნიშნებსა და სხვა მასალაზე ინტელექტუალური საკუთრება, საავტორო და მომიჯნავე უფლებები წარმოადგენს კომპანიის საკუთრებას.
- 7.2. კომპანიის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, დაუშვებელია ნებისმიერი სახით, მის საკუთრებაში არსებული სასაქონლო ნიშნების, საავტორო და მომიჯნავე უფლებების ხელყოფა, ინტელექტუალური

საკუთრების ობიექტის მოდიფიცირება, ნებისმიერი სახით გამოყენება, და სხვაგვარი ქმედება, რაც ეხება კომპანიის ინტელექტუალურ საკუთრებას.

## 8. პერსონალური მონაცემები და მათი დამუშავება

- 8.1. მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების დამუშავების უფლება შესაბამისი მიზნებისთვის აქვს კომპანიას ან/და კომპანიის მიერ დასახელებულ პირს, რომელიც ვალდებულია მონაცემები დაამუშავოს მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული მიზნებითა და კონფიდენციალობის დაცვით.
- 8.2. პერსონალურ მონაცემთა შეგროვებისა თუ სხვაგვარი დამუშავების წესები განისაზღვრება პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის მიხედვით, რომელიც თან ერთვის წესებსა და პირობებს და წარმოადგენს მის არსებით, შემადგენელ ნაწილს.

## 9. არაკანონიერი აქტივობის/კონტენტის დაბლოკვა

- 9.1. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შეექმნება საფუძვლიანი ეჭვი, რომ აპლიკაციის გამოყენებისას ან/და ტრანზაქციის განხორციელებისას ირღვევა წინამდებარე გამოყენების წესები და პირობები ან/და კომპანიას ექმნება ეჭვი, რომ ტრანზაქციები არაკანონიერი, თაღლითური და არაავტორიზებულია, კომპანია უფლებამოსილია, გააჩეროს ასეთი ტრანზაქცია და დაბლოკოს ნებისმიერი პირის პროფილი, ვინც მსგავს აქტივობას ახორციელებს, სანამ კომპანია არ შეისწავლის კონკრეტულ ფაქტებს. კომპანია ასევე უფლებამოსილია, მსგავს შემთხვევებში მიმართოს შესაბამის ფინანსურ ინსტიტუტებს, სხვა სახელმწიფო ორგანოებს და მიაწოდოს მათ ინფორმაცია.
- 9.2. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია მომხმარებლის ქმედებებში დააფიქსირებს არაკანონიერ ნიშნებს (მაგ.: კანონმდებლობით დადგენილი ასაკობრივი შეზღუდვებისა და მოთხოვნების დარღვევა და ა.შ) იგი უფლებამოსილია ასეთ შემთხვევებში დროებით ან სამუდამოდ დაბლოკოს მომხმარებლის პროფილი.
- 9.3. კომპანია არ აგებს პასუხს მომხმარებლებისა თუ მესამე პირების ქმედების კანონიერებაზე.

## 10. დავების გადაწყვეტა და გამოსაყენებელი სამართალი

- 10.1. კომპანიასა და მომხმარებელს შორის წარმოშობილი ნებისმიერი სახის დავა/უთანხმოება უნდა მოგვარდეს ურთიერთშეთანხმების გზით.
- 10.2. დავის წარმოშობიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს საქართველოს სასამართლო, ქართული სამართლის მიხედვით.
- 10.3. კომპანიის სასარგებლოდ მიღებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მიექცევა დაუყოვნებლივ აღსრულებაში.



## 11. გარდამავალი დებულებები

- 11.1. იმ შემთხვევაში, თუ წესები და პირობები შედგენილია ქართულ და უცხოურ ენებზე, დოკუმენტებს შორის სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება დოკუმენტის ქართულ ვერსიას.
- 11.2. აპლიკაციის გამოყენებით ან/და მომსახურების მიღებით, მხარეები აცხადებენ, რომ წინამდებარე წესები და პირობები შედგენილია მათთვის გასაცემ ენაზე, მათ არ გააჩნიათ რაიმე სახის კითხვა/ბუნდოვანება, სრულად იაზრებენ და აცნობიერებენ წესებითა და პირობებით დადგენილი ნორმების შინაარსს და რომ წესები და პირობები განთავსებულია მათთვის ხელსაყრელ და თვალსაჩინო ადგილზე.
- 11.3. გარდა აღნიშნული წესებისა და პირობებისა, კომპანიასა და მომხმარებლებს შორის ურთიერთობა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, [ჰერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკით](#) და აპლიკაციაში განთავსებული სხვა დოკუმენტებით.
- 11.4. წესებისა და პირობების ცალკეული ნაწილების ბათილობა არ იწვევს მთლიანი დოკუმენტის ან/და მისი სხვა ნაწილების ბათილობას.
- 11.5. ის საკითხები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე წესებითა და პირობებით, [ჰერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკით](#) და მხარეთა შორის გაფორმებული ინდივიდუალური ვალდებულებით სამართლებრივი ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
- 11.6. აპლიკაციის მოხმარებით მხარეები ადასტურებენ, რომ თითოეულ მათგანს აქვს სრული უფლება შევიდეს წინამდებარე ურთიერთობაში და საამისოდ მოპოვებული აქვს ყველა საჭირო უფლებამოსილება და/ან თანხმობა.
- 11.7. კომპანია უფლებამოსილია მომხმარებლის მიმართ მოთხოვნა დაიკმაყოფილოს ურთიერთგაქვითვის გზით.
- 11.8. თუ ინდივიდუალური ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, მხარეთა შორის ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წინამდებარე წესი და პირობები ითვალისწინებს კომუნიკაციის ზეპირ სატელეფონო ფორმას. მხარეს წერილობითი შეტყობინება შეიძლება მიენდოს პირადად, გაეგზავნოს კურიერის, საფოსტო გზავნილის საშუალებით, აპლიკაციის გზით ან/და მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე/მობილურის ნომერზე წერილობითი შეტყობინების გაგზავნით.
- 11.9. ნებისმიერი სახის ინფორმაციის, მათ შორის და არა მხოლოდ, ტელეფონის ნომრის, მისამართის, ცვლილების შემთხვევაში, მხარე ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 3 (სამი) კალენდარული დღისა აცნობოს კომპანიას. აღნიშნული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, კომპანიას არ დაეკისრება პასუხისმგებლობა, თუ მის მიერ მომსახურების შეუსრულებლობა დაკავშირებული იქნება მომხმარებლის მიერ ვალდებულების დარღვევასთან.
- 11.10. მომხმარებლები აპლიკაციის გამოყენებით აცნობიერებენ და ადასტურებენ, რომ კომპანიას აქვს შესაძლებლობა დაეყრდნოს მათ მიერ მონოდეულ დადასტურებებს, ლიცენზიებს, ნებართვებს, სარეგისტრაციო მონაცემებს. უზუსტობის ან/და შეუსაბამობის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა ეკისრება შესაბამისი დოკუმენტის/მონაცემის/ინფორმაციის წარმდგენს, ასევე ასეთ შემთხვევაში კომპანია უფლებამოსილია დაბლოკოს მომხმარებლის პროფილი.
- 11.11. მხარეები იღებენ ვალდებულებას აპლიკაციასთან ან/და მომსახურებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარვეზის შემთხვევაში აცნობონ კომპანიას.
- 11.12. მომხმარებელი იძლევა ერთმნიშვნელოვან თანხმობას კომპანიისაგან მიიღოს შეტყობინებები, აქციები, რეკლამები, პრომოუშენები, შეთავაზებები და სხვა ტიპის ინფორმაცია, ნებისმიერი ფორმით.
- 11.13. აპლიკაციის გამოყენებით თქვენ გამოხატავთ წერილობით თანხმობას წინამდებარე წესებსა და პირობებსა და მის შემადგენელ ნაწილებზე.